საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6805/01
17/07/2020

6805-01-2-202007171851

ინდ. მეწარმე ვაჩაგან ალვანჯიანს
მის: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფოგა

ბატონო ვაჩაგან

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 13 ივლისის № 10706 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფოგაში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი უნდა იქნას დაზუსტებული ინფორმაცია:

- ნავთობპროდუქტების რეზერვუარების ზოგადი ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;
- სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგების საკითხებისა და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;
- ნავთობდამჭერში გაწმენდილი წყლის და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ ;
- ავტოგასამართი მოედნის გადახურვის, ასევე ავტოგასამართი მოედნის მობეტონების შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებისა და მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე და ასევე ფარავნის ტბამდე მანძილი 1 კმ-ია. ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 180 მეტრით არის დაცილებული, ხოლო ფარავნის ტბა - 590 მეტრით, შესაბამისად აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ საქმიანობაზე იმსჯელებს მას შემდეგ, რაც ინდ. მეწარმე ვაჩაგან ალვანჯიანი

უზრუნველყოფს განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე